„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“

კომენტარები

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის“ 25 მაისის წინასაარჩევნო ანგარიშზე

2010 წლის 14 ივნისი, თბილისი, საქართველო

ამ დოკუმენტში მოცემულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კომენტარები „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის“ (შემდგომ – „უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი“) მიერ 25 მაისს გამოქვეყნებულ ანგარიშზე, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებს და მათზე რეაგირებას ეხება. კერძოდ, უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა განიხილა შემდეგი ანგარიშები:

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ II ანგარიში – „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის“, 2010 წლის 11 მაისი;
- „ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ „საარჩევნო სიახლენი”..;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში, 23 აპრილი, 2010 წელი და წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში, 23 აპრილი – 22 მაისი, 2010 წ.

არასამთავრობო ორგანიზაციები მივესალმებით ხელისუფლების ამგვარ გამოხმაურებას, რომელიც 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო პერიოდში[1]

[1] უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2010 წლის 29 მარტის ანგარიშზე 2010 წლის 30 მაისის არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების

რიგით მესამეა. წინა არჩევნებთან შედარებით ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა, რადგან მანამდე ხელისუფლებას სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებთან დაკავშირებით წერილობითი და დეტალური პასუხები არასოდეს წარმოუდგენია.

ამ დოკუმენტში ასევე ვეხმაურებით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის თითოეულ პასუხს და საზოგადოებას ვთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას დარღვევებზე რეაგირების ადეკვატურობის შესახებ. ჩვენს კომენტარებში საკითხები იმავე თანამიმდევრობითაა მოცემული, როგორითაც უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშში.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ წინასაარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შეჯამება

მაღალი თანამდებობის პირების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გაკეთებული არაერთი განცხადება, რომლითაც ისინი საჯარო მოხელეებს აფრთხილებდნენ, კანონი არ დაერღვიათ და არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებისთვის ხელი არ შეეშალათ, ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგადი განცხადებებით არ შემოიფარგლებოდნენ და თავიანთ გამოსვლებში აქცენტს იმ კონკრეტულ დარღვევებზე აკეთებდნენ, რომლებიც სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებსა და შეფასებებში იყო ხაზგასმული. ასეთ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია ვიდეორგოლი, რომელიც შეიცავდა საჯარო მოხელეებისადმი პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის, მიმართვას, არ გამოეყენებინათ ადმინისტრაციული რესურსები; ასევე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ეკა ზღულაძის, საჯარო განცხადება, რომელიც მიმართავდა პატიმართა ოჯახებს, არ დაეჯერებინათ არანაირი დაპირება მმართველი პარტიის მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვების სანაცვლოდ მათი ოჯახის წევრების მიმართ ამნისტიის განხორციელებაზე და სხვ.

სამწუხაროდ, დაფიქსირებული დარღვევების დროულად გამოძიებისა და მათზე ადეკვატური რეაგირების მხრივ სურათი არადამაკმაყოფილებელია. დღევანდელი მდგომარეობით, სათანადო რეაგირება მხოლოდ ერთ ფაქტს მოჰყვა, როდესაც სოფელ ოქრუაშვილების (ხულოს მუნიციპალიტეტი) სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სკოლაში წინასაარჩევნო ღონისძიების ჩატარების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ლანჩხუთის რაიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, ბუხუტი ჩხაიძის, მიერ ოპოზიციის

შესახებ: http://www.civil.ge/files/files/IATF-Response-to-TI-Statment.pdf (ინგლისური ვერსია) და თბილისის მერის, გიგი უგულავას, პასუხი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იმავე ანგარიშზე: http://www.civil.ge/eng/article.php?id=22181

ერთ-ერთ წარმომადგენელზე ზეწოლის განხორციელების[2] და მესტიაში ოპოზიციური კანდიდატების დაშინების[3] გახმაურებული შემთხვევების გამოძიება არ დასრულებულა, მიუხედავად იმისა, რომ მესტიის ინციდენტთან დაკავშირებით არაერთი მოწმის ჩვენება და ფარული ვიდეოჩანაწერიც არსებობს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქმის აღძვრიდან ერთი თვის შემდეგ, ფაქტის თვითმხილველი არც ერთი მოწმე არ დაუკითხავთ.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, აღნიშნული დარღვევები დროულად გამოიძიოს, დამრღვევთა წინააღმდეგ ადეკვატური ზომები გაატაროს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ზომების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას. ამ გზით ხელისუფლება, ერთი მხრივ, კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპებს დაიცავს და, მეორე მხრივ, იმას შეუწყობს ხელს, რომ მომავალში მსგავსი დარღვევები აღარ მოხდეს. პრევენციული საჯარო განცხადებები და საჯარო მოხელეების მოწოდება, რომ კანონი დაიცვან, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა, თუმცა რეალური შედეგის მისაღწევად დარღვევებზე ადექვატური რეაგირების პრეცედენტების შექმნაა აუცილებელი.

პრეზიდენტის განცხადება ადმინისტრაციული რესურსების თაობაზე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მეორე შუალედურ ანგარიშში მოყვანილია პრეზიდენტ სააკაშვილის კომენტარი, რომელიც მან 2010 წლის 15 აპრილს აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის დროს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას გააკეთა: „... ჩვენ ვაპირებთ ყველა სახის რესურსის გამოყენებას [იმ მიზნით], რომ გავაუმჯობესოთ ხალხის ცხოვრება, მიუხედავად იმისა, იტყვიან თუ არა, რომ ჩვენ არამიზნობრივად ვიყენებთ მათ [ადმინისტრაციულ რესურსებს]. დიახ, ჩვენ არამიზნობრივად ვიყენებთ, მაგრამ მაინც ვაკეთებთ ამას, და მე ვფიქრობ, რომ ეს კანონიერია[4]“.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის აზრით, პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ კონტექსტიდან ამოგლეჯილია. სამუშაო ჯგუფის განმარტებით, ატლანტიკური საბჭოს წინაშე გამოსვლაში და შემდგომ

---

[2] ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელზე ზეწოლა ლანჩხუთში 7 აპრილს განხორციელდა.

[3] ოპოზიციური პარტიების კანდიდატების დაშინების „სპეცოპერაცია“ მესტიაში 3 მაისს ჩატარდა.

[4] http://www.civil.ge/geo/article.php?id=22603&search=რესურს

კითხვა-პასუხში – საიდანაც არის ამოღებული ზემოთ მოყვანილი ციტატა – პრეზიდენტი სააკაშვილი ცალსახად ამბობს, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს შეასრულოს თავისი პოლიტიკური დაპირებები და გააგრძელოს კეთილდღეობის და განვითარების წახალისება საქართველოსთვის და მისი ხალხისთვის. ჯგუფს ამის დასტურად პრეზიდენტის გამოსვლიდან ექვსაბზაციანი ციტატა მოჰყავს.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

ჩვენს ანგარიშში გამოყენებული ერთაბზაციანი ციტატის სრულად (უცვლელად) გამოყენება „კონტექსტიდან ამოგლეჯილად“ ვერ იქნება მიჩნეული, რადგან მისი შინაარსი მთელი გამოსვლის წაკითხვის შემთხვევაშიც არ იცვლება. პრეზიდენტმა ნათლად განაცხადა, რომ ხელისუფლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას აპირებდა და ამას იმ შემთხვევაშიც გააკეთებდა, თუ მის ამგვარ ქმედებას არამართებულად მიიჩნევდნენ. პრეზიდენტმა ისიც განმარტა, რომ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას კანონი არ კრძალავდა, რაც, ძირითადად, მართალია, თუმცა ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენება საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს[5] ეწინააღმდეგება. რაც არ უნდა უმნიშვნელოდ მიაჩნდეს პრეზიდენტს ეს პრობლემა, საქართველოში ჩატარებული არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას მუდმივად ხაზს უსვამს და უარყოფითად აფასებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაცია (ODIHR)[6].

არჩევნების თარიღის გამოცხადება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში პრობლემურ საკითხად გამოყოფილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის ოფიციალურად არჩევნებამდე მხოლოდ 60 დღით ადრე გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომ პირველი საჯარო განცხადება არჩევნების 30 მაისს ჩატარების შესახებ მან ჯერ კიდევ 2009 წლის 20 ივლისს, პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენისას გააკეთა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

---

[5] ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი არჩევნებსა და დემოკრატიაზე: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მისცეს მათ ერთმანეთთან შეჯიბრების საშუალება კანონისა და ხელისუფლების წინაშე თანაბარი პირობების საფუძველზე.“ (მუხლი 7.6).

[6] იხილეთ ODIHR-ის 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო და 2008 წლის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიშები.

უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს პრეზიდენტის მიერ 2009 წლის ზაფხულში პარლამენტში გაკეთებული განცხადება საკმარისად მიაჩნია. სამუშაო ჯგუფის აზრით, არჩევნების თარიღის არჩევნებამდე 10 თვით ადრე გამოცხადება სრულიად საკმარისია და, შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებიც არ არიან ჩაყენებული არათანაბარ პირობებში. ამასთანავე, ჯგუფის მოსაზრებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 2010 წლის 12 მარტის ცვლილებით ადგილობრივი არჩევნების ზუსტი თარიღის განსაზღვრამ კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა არჩევნების დღესთან დაკავშირებულ საკითხში.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კომენტარი:</u>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ანგარიშში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღის გამოცხადებასთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემაა გამოკვეთილი:

ა) პარლამენტის მიერ 12 მარტს მიღებული საკანონმდებლო ცვლილება არჩევნების 30 მაისს ჩატარების შესახებ არჩევნების თარიღის დანიშვნად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არჩევნების თარიღს პრეზიდენტი ნიშნავს. პარლამენტის მიერ ამ თარიღის ორგანული კანონით დადგენა ანტიკონსტიტუციური იყო და, შესაბამისად, მას იურიდიული ძალა ვერ ექნებოდა;

ბ) არჩევნების თარიღის დანიშვნა, რაც მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა, პირველ რიგში, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ არჩევნების თარიღს უკავშირდება ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება: წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები სწორედ ამ დღიდან შედის ძალაში. შესაბამისად, ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც ამ თარიღამდე იწყებენ წინასაარჩევნო კამპანიას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას ან ამომრჩეველთათვის სხვადასხვა უფასო თუ შეღავათიანი მომსახურების გაწევისას (ან საჩუქრების დარიგებისას) კანონით არ იზღუდებიან;

გ) არჩევნების ზუსტი თარიღის ცოდნა პოლიტიკური პარტიების თანაბარ პირობებში ჩაყენებასაც უწყობს ხელს: მათ მეტი დრო ეძლევათ იმისათვის, რომ წინასაარჩევნო კამპანია ზუსტად და დროულად დაგეგმონ. არჩევნების თარიღის წინასწარ განსაზღვრა სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ეხმარება იმაში, რომ მოსამზადებელ სამუშაოებს მეტი დრო დაუთმონ და მონიტორინგი უკეთესად განახორციელონ. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ანგარიშშიც არის აღნიშნული, პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების 2010 წლის 30 მაისს ჩატარების შესახებ პირველი განცხადება წინა წლის 20 ივლისს გააკეთა, თუმცა, 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის გამოცდილების გათვალისწინებით, ამ განცხადებაზე სრულად დაყრდნობა რთული იყო. 2006 წელს მაღალი თანამდებობის პირები არჩევნების სავარაუდო თარიღის შესახებ ურთიერთგამომრიცხავ

განცხადებებს აკეთებდნენ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელმა უფროსმა, გიორგი არველაძემ, 7 აგვისტოს განაცხადა, რომ არჩევნების უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩატარება არ იგეგმებოდა. ამ განცხადების გაკეთებიდან ცხრამეტ დღეში (26 აგვისტოს) პრეზიდენტმა არჩევნები იმავე წლის 5 ოქტომბრისთვის დანიშნა.

სწორედ ამ ფაქტორების გამო უსვამენ ხაზს ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები თავიანთ ანგარიშებსა და რეკომენდაციებში იმ ფაქტს, რომ არჩევნების დანიშვნის საკითხი ტექნიკური საკითხი არ არის და რომ სასურველია, არჩევნების თარიღი კანონში იყოს დაკონკრეტებული ან ექვსი თვით ადრე მაინც ცხადდებოდეს.

საბიუჯეტო რესურსები და სოციალური პროგრამები

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადება:

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსიით, რომელიც თბილისის საკრებულომ 2009 წლის 28 დეკემბერს დაამტკიცა, დედაქალაქის შემოსავლები 687 500,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ხარჯები – 512 680,5 ათასი ლარით. ამ მდგომარეობით, 2010 წელს გასაწევი ხარჯები თითქმის 26 მილიონი ლარით აჭარბებდა 2009 წლის ხარჯებს. 2010 წლის 22 თებერვალს ბიუჯეტში ცვლილებები იქნა შეტანილი – ხარჯები გაიზარდა და 570 820.7 ათასი ლარი შეადგინა. საბოლოო ჯამში, 2010 წლისთვის განსაზღვრულმა ხარჯებმა დაახლოებით 84 მილიონი ლარით გადააჭარბა 2009 წელს დაფიქსირებულ ხარჯებს.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის განმარტებით, თბილისის მთავრობის ხარჯები 2010 წელს შეადგენს 726.9 მილიონ ლარს (და არა 512.7 მილიონ ლარს, როგორც ეს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ანგარიშში წერია). 521 მილიონ ლარში ცენტრალური მთავრობის ყველა ტრანსფერი შედის. ამ ზრდის დასაბალანსებლად სპეციალური ტრანსფერების რაოდენობა 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 72.1 მილიონი ლარით შემცირდა (268.7 მილიონი ლარიდან 196.6 მილიონ ლარამდე).

<u>„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კომენტარი:</u>

სპეციალური ტრანსფერის ის ოდენობა (დაახლოებით 196.6 მილიონი ლარი), რომელიც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ანგარიშშია მითითებული, პარლამენტის მიერ 2009 წლის 4 დეკემბერს მიღებული „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მონაცემია. სწორედ ამ დროს განისაზღვრა თბილისისთვის გამოსაყოფი სპეციალური ტრანსფერის ოდენობა დაახლოებით 196.6 მილიონი ლარით.

თბილისის ბიუჯეტში პირველი ცვლილებები 2010 წლის 22 თებერვალს იქნა შეტანილი. თბილისის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, დედაქალაქის ბიუჯეტი 15 მილიონი ლარით გაიზარდა. აქედან 5 მილიონი ლარი მან პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერის სახით მიიღო[7]. ამდენად, 2010 წელს თბილისისთვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ოდენობა წლის დასაწყისშივე გაიზარდა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშში აღნიშნული 2009 წლის სპეციალური ტრანსფერის ოდენობა (268.7 მილიონი ლარი) არის არა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პირველადი ვერსიის მონაცემი, არამედ მასში წლის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელებული ცვლილებების შედეგი. თავდაპირველად 2009 წელს თბილისისთვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ოდენობა 160 754.2 ათასი ლარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისისთვის 2010 წლის დასაწყისში გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ოდენობა 2009 წლის ტრანსფერის საწყის ოდენობას დაახლოებით 36 მილიონი ლარით აჭარბებდა.

შესაბამისად, სპეციალური ტრანსფერების ოდენობების ისეთი შედარება, როგორიც უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშშია მოცემული, სამართლიანი და მართებული არ არის.

რაც შეეხება თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ანგარიშის თანახმად, მათი საერთო ოდენობა 512.7 მილიონ ლარს შეადგენდა. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ თბილისის ხარჯები 726.9 მილიონი ლარი იყო.

დაახლოებით 726.9 მილიონი ლარი თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების სრული ოდენობაა. გადასახდელები არის ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა და, შესაბამისად, ხარჯების გარდა, არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებსაც მოიცავს. როგორც აღვნიშნეთ, თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების ოდენობა დაახლოებით 726.9 მილიონი ლარია, უშუალოდ ხარჯები კი დაახლოებით 512.7 მილიონ ლარს შეადგენს (ესაა ბიუჯეტის მაჩვენებლები მასში ცვლილებების განხორციელებამდე).

[7] http://www.sakrebulo.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=6&info_id=814

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ანგარიშში ყურადღება მხოლოდ ხარჯებზეა გამახვილებული, ვინაიდან სწორედ ხარჯებში შედის შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, სუბსიდიების, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯების დაფინანსება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის თანახმად, მხოლოდ მარტის განმავლობაში ცვლილება 69 მუნიციპალიტეტიდან 41-ის ბიუჯეტში იქნა შეტანილი, ზოგიერთში – რამდენჯერმე (სულ – 44 ცვლილება). ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ცვლილებების ნაწილი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულებით რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის 66 მილიონი ლარის გამოყოფის გამო განხორციელდა, თუმცა მათი დიდი ნაწილი უშუალოდ მუნიციპალიტეტების მიერ იყო ინიციირებული.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი ადმინისტრაციების ბიუჯეტებში მრავალი ცვლილების შეტანას იმ სტანდარტულ პრაქტიკას მიაწერს, რომლის მიზანიც ახალი პროექტებისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელებაა. ამის მაგალითად სამუშაო ჯგუფს 2009 წლის პირველ მეოთხედში 117 ცვლილების შეტანა მოჰყავს, 2010 წლის ცვლილებების დიდ ნაწილს კი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 56 მუნიციპალიტეტისთვის 55 მილიონი ლარის[8] გამოყოფას უკავშირებს. ასეთივე არგუმენტი აქვს ჯგუფს 2009 წლის ცვლილებებთან მიმართებითაც (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის №34 განკარგულებით 55 მუნიციპალიტეტს 65.3 მილიონი ლარი გამოეყო).

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი განმარტავს, რომ წლის დასაწყისში ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ცვლილებების ხშირად განხორციელების პრაქტიკა წინა წლების პრაქტიკისაგან არ განსხვავდება. ზოგადად, საბიუჯეტო წლის დასაწყისშივე ბიუჯეტებში ცვლილებების ხშირად შეტანა საბიუჯეტო დაგეგმვის დონეს დადებითად არ ახასიათებს. ბუნებრივია, ისმება კითხვა: თუ ადგილობრივ დონეზე განსახორციელებელი პროექტების სია და მათთვის საჭირო დაფინანსების მოცულობა წინა წლის ბოლოს არის ცნობილი და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტშიცაა ასახული, რატომ ვერ ახერხებენ ადგილობრივი თვითმმართველობები საკუთარი ბიუჯეტების პროექტებში მათ ასახვას?

[8] ამ განკარგულებით მუნიციპალიტეტებისთვის გამოყოფილია 66 მილიონი ლარი (და არა 55 მილიონი ლარი).

რამდენად მართებულია ახალდამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და ამ სახით ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯვითი პოლიტიკის შეცვლა?

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტს განსახილველად 2009 წლის 13 ნოემბერს წარედგინა და, როგორც აღვნიშნეთ, პარლამენტმა ის 2009 წლის 4 დეკემბერს მიიღო. ადგილობრივი თვითმმართველობების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავიანთი ბიუჯეტები 4 დეკემბრის შემდეგ დაამტკიცა. შესაბამისად, მათთვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ის შემოსავლები (გათანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები თვითმმართველობების მიხედვით), რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წლის განმავლობაში მიიღებდნენ.

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული პროექტით ცნობილი იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საერთო მოცულობაც – 40 მილიონი ლარი[9], თუმცა კონკრეტული ადგილობრივი თვითმმართველობების მიხედვით პროგრამის თანხები მხოლოდ 2010 წლის 13 იანვარს გაიწერა[10]. ამ პროგრამასთან დაკავშირებული განკარგულება საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე რომ მიეღო, ადგილობრივი თვითმმართველობების უმრავლესობას ბიუჯეტებში ცვლილებების 2010 წლის იანვარ-თებერვალშივე განხორციელება არ მოუწევდა. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, მთავრობა ვალდებული იყო, სწორედ ასე მოქცეულიყო.

შესაძლებელია უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა განმარტოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მთავრობის განკარგულების მომზადებას (და შესაბამისი გათვლების გაკეთებას) დრო სჭირდებოდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მოცულობა უკვე 2009 წლის 13 ნოემბერს იყო ცნობილი და განკარგულების მომზადებას ორი თვე (2009 წლის 13 ნოემბრიდან 2010 წლის 13 იანვრამდე) არ უნდა დასჭირვებოდა. საუკეთესო შემთხვევაში, დეტალური გათვლები თავად სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

აქვე უნდა ითქვას, რომ რეგიონებისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხების გაორმაგება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ნეგატიურად არ

[9] „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (2009 წლის 13 ნოემბერი), საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდი 50 09 და მუხლი 19.

[10] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №41 განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“.

შეუფასებია. ანგარიშში ამის აღნიშვნით მან 2010 წლის ცვლილებების ნაწილის ობიექტური არგუმენტაცია მოიყვანა და იქვე მიუთითა, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოყოფილი თანხის ასახვის გარდა ადგილობრივ ბიუჯეტებში კიდევ ბევრი სხვა ცვლილება იქნა შეტანილი. 2009 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტებში 123 ცვლილება შევიდა, ხოლო 2010 წლის იმავე პერიოდში – 126.

ცხრილი 1: 2009 და 2010 წლების იანვარ-მარტში განხორციელებული ცვლილებები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2009 წლის იანვარ-მარტი	2010 წლის იანვარ-მარტი
იმერეთი	30	27
კახეთი	8	15
სამეგრელო-ზემო სვანეთი	16	15
გურია	6	5
შიდა ქართლი	17	11
ქვემო ქართლი	17	18
მცხეთა-მთიანეთი	7	10
სამცხე-ჯავახეთი	13	10
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6	8
აჭარა	3	7
სულ:	123	126

<u>წყარო</u>: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში 2010 წელს 2007–2009 წლებთან შედარებით მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზრდაზედაც არის ყურადღება გამახვილებული. უფრო კონკრეტულად, შესწავლილი 43 თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 13-ში გაზრდილია როგორც საშტატო ერთეულების რაოდენობა, ისე სახელფასო ფონდი. 3-ში მხოლოდ საშტატო ერთეულების რიცხოვნობა გაიზარდა. 9-ში საშტატო ერთეულების რაოდენობა არ გაზრდილა, თუმცა გაიზარდა სახელფასო ფონდი. 2010 წელს მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში გამგეობათა ტერიტორიული ორგანოების (სოფლის რწმუნებულების) ადმინისტრაციების ხარჯებიც გაიზარდა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშში 2010 წელს 2009 წელთან შედარებით ყველა ტერიტორიული ერთეულის მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა რაოდენობის ზრდაა ნაჩვენები. ეს რიცხვი 536-ია, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 7%-იანი ზრდაა, რომელიც სამუშაო ჯგუფს უმნიშვნელოდ მიაჩნია. ამას გარდა, ზრდის მიზეზად ჯგუფი დეცენტრალიზაციის პოლიტიკას და 2010 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

დაფინანსების გაორმაგებას ასახელებს. მისი განმარტებით, ახალი პროექტების განხორციელებისთვის დამატებითი ხალხი იყო საჭირო. ჯგუფი იქვე ასკვნის, რომ არჩევნების ორგანიზება ხელისუფლებას დეცენტრალიზაციის გატარებაში და დემოკრატიული პროცესის გაღრმავებაში ხელს არ უნდა უშლიდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში მოყვანილია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მაგალითი, რომლებშიც საშტატო ერთეულების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა კომენტარი მხოლოდ ზრდის საერთო მაჩვენებელზე (7%-ზე) გააკეთა. საშტატო ერთეულების რიცხოვნობა თბილისში 22,6%-ით გაიზარდა, გორში – 51,3%-ით, ზუგდიდში – 34%-ით, ლაგოდეხში კი – 81,9%-ით. სახელფასო ფონდი მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსთავში – 23,3%-ით, ზუგდიდში – 30,5%-ით, თბილისში – 19%-ით, ხოლო ამბროლაურში – 14,3%-ით.

ეს რიცხვები მხოლოდ საშტატო მოსამსახურეთა რაოდენობას და მათი შრომის ანაზღაურების ოდენობას ასახავს. ადგილობრივი თვითმმართველობების უმრავლესობის ბიუჯეტებში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობა და მათი შრომის ანაზღაურების მოცულობა საერთოდ არ ჩანს.

რაც შეეხება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის კომენტარს დეცენტრალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ცენტრალური მთავრობის მიერ შემუშავებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები და სხვა მსგავსი ღონისძიებები დეცენტრალიზაციის ხელშეწყობის საუკეთესო გზებად ვერ იქნება მიჩნეული. დეცენტრალიზაცია ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობას უნდა უწყობდეს გზას. მათ უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები დამოუკიდებლად გადაწყვიტონ და საკუთარი შემოსავლებიდან დააფინანსონ, თუმცა ეს საკითხი საგადასახადო სისტემასთან არის დაკავშირებული და არჩევნების თემას სცილდება, ამიტომ აქ აღარ განვავრცობთ.

გარდა ამისა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სახელფასო ფონდი და საშტატო ერთეულების რაოდენობა მნიშვნელოვნად მუნიციპალიტეტების მხოლოდ ნაწილში გაიზარდა. თუ შტატების და, შესაბამისად, ხელფასების მატება უკავშირდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსების გაორმაგებას, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტში ხორციელდება, ასეთი მატება ყველა მუნიციპალიტეტს უნდა შეეხოს. ანალოგიური კითხვა ჩნდება დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებულ არგუმენტთან მიმართებითაც: რატომ ძლიერდება დეცენტრალიზაცია მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში?

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადება:

2010 წლისთვის თბილისის მთავრობამ მრავალი სოციალური პროგრამა დაგეგმა. მათი უმრავლესობის მიზანი თბილისის მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისთვის ფინანსური დახმარების გაწევაა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის განცხადებით, საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ხელისუფლებისთვის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება; ეს ხშირად მოქალაქეთა კონკრეტული კატეგორიებისთვის დახმარების აღმოჩენას ნიშნავს. ასეთი პროგრამები მთავრობის სოციალური პოლიტიკის ნაწილია. ამ პოლიტიკის მიზანი კი ყველა ქართველი მოქალაქის კეთილდღეობის გაზრდაა და ის 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებს არ უკავშირდება. დამატებით მტკიცებულებებად სამუშაო ჯგუფს 2007 და 2009 (არასაარჩევნო) წლების სოციალური პროგრამების სიები მოაქვს.

<u>„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კომენტარი:</u>

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ პირველ შუალედურ ანგარიშში ყურადღება იმ ახალ, მასშტაბურ პროექტებზე გაამახვილა, რომელთა ინიციირებაც 30 მარტამდე მოხდა და რომლებიც წინა წლებში არ განხორციელებულა. ანგარიშში ძველ (რეგულარულ) და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ კომენტარისთვის შერჩეულ პროგრამებზე არაფერი იყო ნათქვამი.

2010 წელს გაგრძელდა თითქმის ყველა იმ პროგრამის განხორციელება, რომლებიც 2007, 2008 და 2009 წლებში მიმდინარეობდა და რომელთა ნუსხას 2009 წლის ბოლოდან არაერთი ახალი პროგრამა დაემატა. ასეთი იყო: „კომპიუტერისა და ინგლისურის უფასო კურსები“; „თბილისელების ადვოკატი“; „კომუნალური გადასახადების თანაგადახდის ვაუჩერების გადაცემა“; „2010 წლის იანვრამდე არსებული დასუფთავების დავალიანების განულება“; „მოვუსმინოთ თბილისელებს ყველა უბანში“.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყურადღების ცენტრში თბილისელი პენსიონერებისთვის პენსიის 10 ლარით ზრდაც მოხვდა. საპენსიო დანამატების გაცემა 2010 წლის 1 მარტიდან დაიწყო. დანამატები თბილისელ პენსიონერებზე 2007 წელსაც გაიცემოდა, თუმცა მაშინ ეს ნამსახურობის სტაჟიდან გამომდინარე ხდებოდა, 2010 წელს კი დანამატები ყველა პენსიონერზე გაიცა (ყველანაირი დიფერენცირების გარეშე, სოციალური მდგომარეობისა თუ სტაჟის მიუხედავად). შესაბამისად, 2010 წლის 1 მარტის ინიციატივა

თვისებრივად ახალი საბიუჯეტო პროგრამაა, რომლის მსგავსიც არასაარჩევნო წლებში არ განხორციელებულა[11].

ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერებისათვის მედიკამენტების ვაუჩერით დაფინანსების პროგრამა 2008 და 2009 წლებში ხორციელდებოდა და ის 2010 წელსაც გაგრძელდა, თუმცა წელს ამ პროგრამისთვის 3 მილიონი ლარი იხარჯება, მაშინ, როცა 2009 წელს მისთვის მხოლოდ 15 400 ლარი იყო გამოყოფილი, 2008 წელს კი – 1 690.6 ათასი ლარი.

ფაქტია, რომ სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება 2010 წელს განსაკუთრებულად არის გაზრდილი. ის შეადგენს 78 302.6 ათას ლარს, რომელიც 2009 წელს სოციალური დაცვის პროგრამებისთვის განკუთვნილ დაფინანსებას დაახლოებით 51 მილიონ ლარზე მეტით აჭარბებს. საინტერესოა ისიც, რომ 2009, არასაარჩევნო, წელს თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება (26 842.4 ათასი ლარი) 2008, საარჩევნო, წლის დაფინანსებაზე (დაახლოებით 48 მილიონი ლარი) თითქმის 2-ჯერ ნაკლები იყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ თვითმმართველობაში საოფისე ხარჯები წინასაარჩევნო პერიოდში გაცილებით მეტია, ვიდრე არჩევნების შემდეგ. მაგალითად, ლაგოდეხში გამგეობის აპარატის საოფისე ხარჯები პირველ და მეორე კვარტალებში სულ 35 ათასი ლარია, ხოლო მესამე და მეოთხე კვარტალებში – 15 ათასი ლარი. ლაგოდეხის ტერიტორიული ორგანოების საოფისე ხარჯები მეორე კვარტალში 20 ათასი ლარია, ხოლო დანარჩენებში ერთად – 20 ათასი ლარი.

იმავე ანგარიშის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან ზოგიერთი ღონისძიება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ფინანსდება, არჩევნების შემდეგ კი დაფინანსება მნიშვნელოვნად მცირდება ან საერთოდ ქრება.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში დაგეგმილი კვარტალური ბიუჯეტი და რეალური კვარტალური ხარჯები არეულია. სამუშაო ჯგუფი ასევე განმარტავს, რომ, გავრცელებული ადმინისტრაციული პრაქტიკის მიხედვით, პირველი კვარტალისთვის, როგორც წესი, უფრო

[11] ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი, „ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერებისათვის პენსიის დანამატის (დახმარების) გაცემის პროგრამა“, საბიუჯეტო კოდი 01 10 19.

დიდი ბიუჯეტი იგეგმება, ვიდრე დანარჩენი 3 კვარტალისთვის, რასაც იმით ხსნის, რომ ეს მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა – პირველი კვარტალის გამოუყენებელი ხარჯები შეიძლება შემდგომ კვარტალებზე გადანაწილდეს. შესაბამისად, სხვა კვარტალებთან შედარებით პირველი კვარტალის დაგეგმილი ბიუჯეტის სიდიდე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პირველი კვარტალის რეალური ხარჯები სხვა კვარტალების რეალურ ხარჯებზე დიდი იქნება. ჯგუფის შეფასებით, რეალობა საპირისპიროც კია. კვარტალური ბიუჯეტური გეგმები და რეალური ხარჯები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა, რასაც ის რამდენიმე კონკრეტული მაგალითით ადასტურებს. ამ მაგალითებში რეალური ხარჯები არჩევნებამდე უფრო ნაკლებია, ვიდრე არჩევნების შემდეგ.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში განხილულია დაგეგმილი და არა რეალური ხარჯები. ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტები 2010 წლის მარტში გამოვითხოვეთ. ამ დროისთვის პირველი კვარტალის შესრულების შედეგები არ არსებობდა (ისინი მაისში ქვეყნდება). გამოთხოვილი 65 ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან მხოლოდ 45-ის მოპოვება შევძელით. კვარტალურად მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დაყოფილი.

თუ არსებობს გავრცელებული ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომ პირველი კვარტალისთვის ყოველთვის უფრო დიდი ბიუჯეტი დაიგეგმოს და თუ ბიუჯეტის ამგვარად გაწერა ზოგადი პრაქტიკაა, გაუგებარია, რატომ არის ასე გაწერილი ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების მხოლოდ ნაწილი.

გარდა ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში, რომელშიც აქცენტი შეგნებულად მხოლოდ არასეზონურ პროგრამებზეა გაკეთებული, დიდი საბიუჯეტო ხარჯები მეორე ან პირველ და მეორე (და არა მხოლოდ პირველ) კვარტალებშია მოცემული, მესამე და მეოთხე კვარტალებში კი მნიშვნელოვნად მცირდება (მაგალითად, ბინათმშენებლობის ხარჯები სიღნაღში მხოლოდ მარტის ბიუჯეტშია გათვალისწინებული; კულტურული ღონისძიებები ლაგოდეხში მხოლოდ პირველ და მეორე კვარტალებში ფინანსდება; ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროფილაქტიკური გასინჯვები მხოლოდ მეორე კვარტალში ხორციელდება).

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის განცხადებით, ღონისძიებების ნაწილი არჩევნების შემდეგაც განხორციელდება და დაფინანსების უმეტესი ნაწილი არჩევნების შემდეგ გაიცემა. დაფინანსების უმეტესი ნაწილის არჩევნების შემდეგ გაცემა, სავარაუდოდ, „სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს უკავშირდება. კანონის თანახმად, სამუშაოს შემსრულებელთან ანგარიშსწორება სამუშაოს შესრულების შემდეგ ხდება[12].

ჩვენ მიერ ბიუჯეტების გამოთხოვის მომენტისთვის სამუშაოების შესრულების ანგარიშები არ არსებობდა, თუმცა ამ საკითხის შესწავლას მომავალშიც ვაპირებთ. OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა რამდენიმე მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის ტენდენციები გადაამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის განმარტების საპირისპიროდ, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში წინასაარჩევნოდ მთავრობის მიერ გაწეული ხარჯების მკვეთრი ზრდა შეინიშნებოდა. კერძოდ, სიღნაღში 2010 წლის ბიუჯეტიდან კულტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხების 90% აპრილში დაიხარჯა. თელავში აპრილის განმავლობაში სოციალური დახმარებებისთვის გაწეული ხარჯები ორჯერ აღემატებოდა წინა სამი თვის ხარჯების ჯამს[13].

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის თანახმად, 2007–2009 წლებთან შედარებით, 2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და ინფრასტრუქტურული პროგრამების დაფინანსება (გარდა იშვიათი გამონაკლისებისა ოზურგეთის, ვანის, ჭიათურის, ამბროლაურის ბიუჯეტებში). ამასთანავე, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დიდი ნაწილი მოკლევადიანი ან ერთჯერადი ხასიათისაა (მედიკამენტების ერთჯერადი გაცემა, ერთჯერადი ფულადი დახმარება და სხვ.).

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის განმარტებით, გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წელს გადაეცემა, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული ახალი ფორმულის მიხედვით იქნა გამოანგარიშებული. გათანაბრებითი ტრანსფერებით ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსები გაჩნდა, რამაც მათ მიერ სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხის გაზრდა გამოიწვია. სამუშაო ჯგუფის ანგარიშის თანახმად, ასეთი პროგრამების უმეტესი ნაწილი 2009 წელსაც ხორციელდებოდა. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტში ავტობუსებით უფასო მგზავრობის პროგრამა 1 მარტს არ დაწყებულა. ის 2008 და 2009 წლებშიც

[12] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[13] იხილეთ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მოხსენება წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ, გვ. 14.

არსებობდა და, შესაბამისად, 100,000 და 70,000 ლარით ფინანსდებოდა, რაც პროგრამის 2010 წლის დაფინანსებას (50,000 ლარი) აღემატება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:

ჯანმრთელობის დაცვისა და განსაკუთრებით – სოციალური დაცვის პროგრამებისთვის გამოყოფილი ხარჯები მუნიციპალიტეტების ნაწილში მხოლოდ 2008 და 2010, საარჩევნო, წლებში არის გაზრდილი, 2009, არასაარჩევნო, წელს კი შემცირებულია.

ცხრილი 2: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსების ზრდისა და კლების ტენდენციები

თვითმმართველობა	2008	2009	2010	ზრდა/კლება (%) 2010 წელს 2009 წელთან შედარებით
თბილისი	**65 292.50**	**50 471.00**	**111 916.80**	**121.7**
მ. შ., ჯანდაცვა	17 224.10	23 473.40	33 614.20	43.2
სოც. დაცვა	48 068.40	26 997.60	78 302.60	190
ხულო	**404.20**	**270.80**	**324.70**	**19.9**
მ. შ., ჯანდაცვა	135.00	146.50	165.70	13.1
სოც. დაცვა	269.20	124.30	159.00	27.9
ქობულეთი	**636.30**	**335.70**	**380.40**	**13.3**
მ. შ., ჯანდაცვა	170.20	138.10	142.30	3
სოც. დაცვა	466.10	197.60	238.10	20.5
შუახევი	**208.70**	**153.70**	**186.80**	**21.5**

მ. შ., ჯანდაცვა	94.10	67.40	67.70	0.4
სოც. დაცვა	114.60	86.30	119.10	38
ბაღდათი	**104.80**	**104.80**	**125.00**	**19.3**
მ. შ., ჯანდაცვა	25.50	29.00	30.00	3.4
სოც. დაცვა	79.30	75.80	95.00	25.3
თერჯოლა	**253.80**	**309.50**	**316.40**	**2.2**
მ. შ., ჯანდაცვა	13.10	60.60	62.00	2.3
სოც. დაცვა	240.70	248.90	254.40	2.2
წყალტუბო	**387.50**	**164.60**	**203.10**	**23.4**
მ. შ., ჯანდაცვა	36.00	41.70	48.10	15.3
სოც. დაცვა	351.50	122.90	155.00	26.1
ხარაგაული	**109.70**	**158.90**	**177.70**	**11.8**
მ. შ., ჯანდაცვა	32.00	46.10	48.00	4.1
სოც. დაცვა	77.70	112.80	129.70	15
ხონი	**239.30**	**203.80**	**487.50**	**139.2**
მ. შ., ჯანდაცვა	46.30	46.00	245.50	433.7
სოც. დაცვა	193.00	157.80	242.00	53.4
ახმეტა	**82.50**	**83.30**	**198.00**	**137.7**

მ. შ., ჯანდაცვა	35.00	35.00	35.00	0
სოც. დაცვა	47.50	48.30	163.00	237.5
გურჯაანი	**183.80**	**427.90**	**527.30**	**23.2**
მ. შ., ჯანდაცვა	66.50	56.00	61.00	8.9
სოც. დაცვა	117.30	371.90	466.30	25.4
ლაგოდეხი	**161.50**	**323.30**	**378.00**	**16.9**
მ. შ., ჯანდაცვა	78.20	82.30	85.00	3.3
სოც. დაცვა	83.30	241.00	293.00	21.6
სიღნაღი	**161.40**	**243.10**	**300.50**	**23.6**
მ. შ., ჯანდაცვა	57.80	50.00	87.00	74
სოც. დაცვა	103.60	193.10	213.50	10.6
თელავი	**843.60**	**413.50**	**466.60**	**12.8**
მ. შ., ჯანდაცვა	50.90	60.00	65.00	8.3
სოც. დაცვა	792.70	353.50	401.60	13.6
ყვარელი	**137.80**	**226.60**	**251.00**	**10.8**
მ. შ., ჯანდაცვა	43.00	52.80	48.00	-9.1
სოც. დაცვა	94.80	173.80	203.00	16.8
ახალგორი	**232.80**	**112.40**	**121.60**	**8.2**

მ. შ., ჯანდაცვა	143.00	55.00	40.50	-26.4
სოც. დაცვა	89.80	57.40	81.10	41.3
თიანეთი	**139.40**	**107.60**	**120.20**	**11.7**
მ. შ., ჯანდაცვა	21.60	26.80	28.50	6.3
სოც. დაცვა	117.80	80.80	91.70	13.5
დმანისი	**76.00**	**93.90**	**139.50**	**48.6**
მ. შ., ჯანდაცვა	21.00	21.00	59.50	183.3
სოც. დაცვა	55.00	72.90	80.00	9.7
გარდაბანი	**2 906.70**	**647.10**	**707.80**	**9.4**
მ. შ., ჯანდაცვა	114.16	152.00	220.00	44.8
სოც. დაცვა	2 792.56	495.20	487.80	-1.5
მარნეული	**317.90**	**353.10**	**382.20**	**8.2**
მ. შ., ჯანდაცვა	94.00	105.40	127.00	20.5
სოც. დაცვა	223.90	247.70	255.20	3
რუსთავი	**3 067.50**	**2 009.80**	**2 576.20**	**28.2**
მ. შ., ჯანდაცვა	210.90	191.20	191.20	0
სოც. დაცვა	2 856.60	1 818.60	2 385.00	31.1

წალკა	**117.20**	**117.00**	**126.90**	**8.5**
მ. შ., ჯანდაცვა	69.70	35.00	31.40	-10.3
სოც. დაცვა	47.50	82.00	95.50	16.5
წალენჯიხა	**160.40**	**274.60**	**347.00**	**26.4**
მ. შ., ჯანდაცვა	65.60	72.10	80.00	11
სოც. დაცვა	94.80	202.50	267.00	31.9
ფოთი	**1 003.40**	**1 066.90**	**1 104.20**	**3.5**
მ. შ., ჯანდაცვა	261.70	252.00	352.00	39.7
სოც. დაცვა	741.70	814.90	752.20	-7.7
კასპი	**182.10**	**91.50**	**136.20**	**48.9**
მ. შ., ჯანდაცვა	55.60	52.00	55.00	5.8
სოც. დაცვა	126.50	39.50	81.20	105.6

განსაკუთრებით შთამბეჭდავია 2010 წელს 2009 წელთან შედარებით სოციალური დაცვის პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხის 51 მილიონ ლარზე მეტით (190%-ით) ზრდა თბილისში. როგორც აღვნიშნეთ, 2008 წელს ამ პროგრამებისთვის დაახლოებით 48 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, რაც 2009 წლის მონაცემს 78%-ით აღემატება.

რაც შეეხება თელავის უფასო ავტობუსს, თელავის მცხოვრებლების თქმით, უფასო ტრანსპორტი 2010 წლამდე არ არსებობდა. თელავის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის დაფარვა ცალკე პროგრამის სახით საერთოდ არ არის გამოყოფილი. ბიუჯეტში გაზრდილია „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვისა და მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების“ დაფინანსება.

მთლიანობაში ეს რიცხვი 2008 წელს 1, 349 ათასი ლარი იყო, 2009 წელს – 860 ათასი ლარი, ხოლო 2010 წელს 1,206 ათასი ლარია.

ზოგადად, გაუგებარია, რატომ უნდა აწესებდეს სახელმწიფო (ადგილობრივი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან) საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ასეთი ტიპის შეღავათებს მთლიანად რაიონის მოსახლეობისთვის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2010 წელს თვითმმართველობებმა ადგილობრივ მედიასაშუალებებს (ტელევიზიებს და ბეჭდურ მედიას) სუბსიდიები გაუზარდეს.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის განმარტებით, 2009 წელს ტელევიზიებისთვის, რადიოსთვის და ბეჭდური მედიისთვის ადგილობრივი ადმინისტრაციების (ავტონომიური რესპუბლიკების გარდა) ბიუჯეტებიდან გამოყოფილმა დაფინანსებამ 1,164,000 ლარი შეადგინა. 2010 წელს ეს თანხა 1,218,900 ლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ 2009 წელთან შედარებით დაფინანსება მხოლოდ 4.7%-ით, ანუ იმდენით გაიზარდა, რამდენითაც – მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფის ანგარიშის თანახმად, ადგილობრივი მედიასაშუალებებისთვის განსაზღვრული ფული იყო არა სუბსიდირება, არამედ გადასახადი, მათ შორის, არჩევნებთან კავშირის არმქონე რეკლამისთვის.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

პირველ რიგში, გაუგებარია, რატომ უკავშირდება მედიასაშუალებების სუბსიდირება მშპ-ის ზრდას. რაც შეეხება სუბსიდირებასა და გადასახადებზე გაკეთებულ კომენტარს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, სიღნაღისა და გურჯაანის გარდა, სწორედ ადგილობრივი მედიასაშუალებების სუბსიდიებს და არა გადასახადებს ეხებოდა.

გარდა ამისა, ანგარიშში ნაჩვენებია არა ზრდის საერთო ტენდენცია, არამედ ის რაიონები, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ზრდა დაფიქსირდა (ზოგიერთ მათგანში – 100%-იანიც კი). უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ საშუალო ზრდის მაჩვენებლის გამოყვანა არარელევანტურია.

სახელმწიფო პროგრამები/რესურსები და საარჩევნო სიმბოლიკა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადება:

აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მიერ საგიტაციო მასალებში თბილისის მერიის დაფინანსებული თბილისის რებრენდინგის ფარგლებში შექმნილი ლოგოს „მე მიყვარს თბილისი“ გამოყენება დარღვევად მიიჩნიეს.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ლოგოს „მე მიყვარს თბილისი“ დამზადება მერიის მიერ იყო ინიციირებული, ლოგო და მასთან დაკავშირებული სარეკლამო კამპანია მერიის საკუთრება არ ყოფილა. სამუშაო ჯგუფის განცხადებით, „მე მიყვარს თბილისი“ ქალაქის სიმბოლოა, ის არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის და მისი გამოყენება ნებისმიერ მათგანს შეუძლია. ეს ლოგო მართლაც გამოიყენება მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის ზოგიერთ მასალაში, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების საარჩევნო სლოგანი არ არის.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კომენტარი:</u>

ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ნათელი განსხვავება უნდა არსებობდეს. არ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოს აღრევა (მუხლი 5.4). აღნიშნული ლოგო თბილისის მერიასთან და მის პროექტებთან ასოცირდება. მერიის მიერ ინიციირებული რამდენიმე გახმაურებული პროგრამა, მათ შორის, ქალაქის პარკირების გადასახადის გადახდა, პარკირების ახალი სისტემის შემოღება, „ერთად დავგეგმოთ თბილისის ბიუჯეტი“, „დარგე შენი ხე და გაამწვანე თბილისი“, სტუდენტური აქცია „კინომანია +5“ და სხვა, სწორედ ამ ლოგოს ფართოდ რეკლამირების გზით ხორციელდებოდა.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადება:

თბილისის მერიის ერთ-ერთი საბიუჯეტო პროგრამა, რომლის ინიციირებაც შესაძლებელია თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდებოდეს, არის „ერთად დავგეგმოთ თბილისის ბიუჯეტი“. აღნიშნული პროგრამა 2010 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების შესახებ თბილისის თითოეული მოქალაქის გამოკითხვას ისახავდა მიზნად, რათა მომავალი წლის ბიუჯეტი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად დაგეგმილიყო. პროგრამის ეფექტიანობა და მისი განხორციელების რეალური მიზნები რამდენიმე გარემოებამ გახადა საჭირო: 1) გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქეთა გამოკითხვა დეკემბერში დაიწყო, 2009 წლის 28 დეკემბრამდე, ანუ თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე, გამოკითხვის შედეგების სრულყოფილი ანალიზი და ბიუჯეტის შესაბამისად დაგეგმვა შეუძლებელი იქნებოდა; 2)

მოქალაქეთა ფართომასშტაბიანი გამოკითხვის დაწყებისთვის თბილისის ბიუჯეტის პროექტი უკვე წარდგენილი იყო საკრებულოში დასამტკიცებლად; 3) მერიის მიერ შედგენილი კითხვარის ბოლო შეკითხვის – „რას ურჩევთ თბილისის მერს?" – დასმის გზით ინტერვიუერს საშუალება ჰქონდა, თბილისის მოქმედი მერისადმი თბილისელების დამოკიდებულება დაედგინა. თბილისის მერი იმ პერიოდში უკვე მოიაზრებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატად.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის თანახმად, გამოკითხვა საარჩევნო კამპანიის ნაწილი არ ყოფილა, მისი შედეგები საჯარო იყო და მათი შესწავლა მერობის ნებისმიერ დაინტერესებულ კანდიდატს შეეძლო. გარდა ამისა, როცა მერმა ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს წარუდგინა, მან თბილისის მოსახლეობაში გამოკითხვის ჩატარებაც ითხოვა. სამუშაო ჯგუფის განმარტებით, ბიუჯეტის შედგენაში მოქალაქეთა მონაწილეობა მერიის მზარდი პრიორიტეტია და ეს სისტემა მომავალში თანდათან გაუმჯობესდება.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" კომენტარი:

სამწუხაროდ, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის განცხადება, რომ პროგრამის „ერთად დავგეგმოთ თბილისის ბიუჯეტი" ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები საჯარო და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყო. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" 4 თვის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა პროგრამის ინიციირების თარიღის, მისი ბიუჯეტის, მის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების, მისი აღწერილობისა და მისი სამართლებრივი საფუძვლების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. აღნიშნული საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის განცხადებით[14] ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 2009 წლის 10 დეკემბერს მიმართა თბილისის მერიას. მერიამ განცხადება რეაგირების გარეშე დატოვა და პროგრამასთან დაკავშირებით არავითარი ინფორმაცია არ მოუწოდებია.

დაახლოებით 2 თვის შემდეგ, 2010 წლის 23 თებერვალს, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" კვლავ მიმართა თბილისის მერიას განცხადებით[15], რომლითაც, წინა განცხადებაში აღნიშნულ საჯარო ინფორმაციასთან ერთად, კვლევის შედეგები გამოითხოვა. ორგანიზაცია იმითაც დაინტერესდა, თუ რა ფორმით აისახა მიღებული კვლევის შედეგები 2010 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაზე, მაგრამ ეს კითხვებიც უპასუხოდ დარჩა.

მერიამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გამოთხოვილი ინფორმაცია მხოლოდ მას შემდეგ გასცა, რაც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" 2010 წლის 6 აპრილს თბილისის მერს, ბატონ გიგი

[14] საია-ს განცხადება თბილისის მერიას №გ-04/73-09.
[15] საია-ს განცხადება თბილისის მერიას №გ-04/144-10.

უგულავას, ღია წერილით მიმართეს და უშუალოდ მისგან ითხოვეს მერიის გამჭვირვალედ მუშაობაზე კონტროლის განხორციელება, თუმცა მოწოდებული ინფორმაცია არასრული იყო. 2010 წლის 16 აპრილს, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ბოლო განცხადების გაგზავნიდან 2 თვის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით[16], მერიამ ორგანიზაციას მხოლოდ გამოკითხვის შედეგები გაუგზავნა, ისიც კითხვარის ბოლო კითხვის – „რას ურჩევთ თბილისის მერს?“ – პასუხების გამოკლებით.

რაც შეეხება პროგრამის დეტალურ აღწერას, მერიამ ამის ნაცვლად ასეთი განმარტება წარმოადგინა: გამოკითხვა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისა და პრობლემების გამოსავლენად (შემდგომ კვლევის შედეგების ბიუჯეტში ასახვის მიზნით) ჩატარდა.

პასუხში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა ფორმით აისახა გამოკითხვის შედეგები 2010 წლის ბიუჯეტის პროექტში, ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად წარმატებით განხორციელდა პროგრამა და მიაღწია თუ არა მან დასახულ მიზანს – საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრაში მოსახლეობის აქტიური მინაწილეობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პროგრამის საჯაროობის თაობაზე განცხადება საფუძველს მოკლებულია და მერიის ამგვარი დახურულობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გამოკითხვის შედეგები დროის სიმცირის გამო ვერ აისახებოდა 2010 წლის ბიუჯეტის პროექტში და პროგრამა „ერთად დავგეგმოთ თბილისის ბიუჯეტი“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო.

ცნობები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მიმართ მუქარისა და მათზე ზეწოლის თაობაზე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში მოყვანილია ფაქტი იმის შესახებ, რომ აპრილის დასაწყისიდან ვიქტორ ჯაფარიძეს, რომელიც არჩევნებში მესტიაში პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ კვოტით მონაწილეობდა (იგი პარტიული სიის პირველი ნომერი და, იმავდროულად, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო), იმავე რაიონის გამგებლის, გოჩა ჭელიძის, დავალებით რაიონის პოლიციის უფროსი, გია შედანია, ემუქრებოდა. კერძოდ, ის ჯაფარიძეს დაემუქრა, რომ თუ არჩევნებში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა, მესტიაში ჩასვლისთანავე დაიჭერდა. მუქარა შემდეგაც

[16] ქალაქ თბილისის მერიის პასუხი საია-ს №07-40338-1; 11/20164-7.

არაერთხელ განმეორდა, რის შედეგადაც მაისის შუა რიცხვებში ჯაფარიძემ საქართველო დატოვა და დღემდე არ დაბრუნებულა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი აღნიშნავს, რომ მისი ერთ-ერთი წევრი, ჯამბულ ბაკურაძე, პირადად შეხვდა ვიქტორ ჯაფარიძეს და დაჰპირდა მას, რომ ჯგუფი ამ შემთხვევას და, ზოგადად, მესტიაში არსებულ სიტუაციას დეტალურად შეისწავლიდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:

ვიქტორ ჯაფარიძემ საქართველო ჯამბულ ბაკურაძესთან შეხვედრის შემდეგ დატოვა და ის დღემდე არ დაბრუნებულა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ეს რამდენიმე კვირის წინ აცნობა უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს, თუმცა ჯერჯერობით ამ კუთხით არაფერი შეცვლილა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ეროვნული საბჭოს“ წევრებზე ყვარლის რაიონის გამგებელმა, ლევან გამსახურდიამ, და პოლიციის უფროსმა, თემურ გურაშვილმა, ზეწოლა განახორციელეს, რის გამოც „ეროვნული საბჭოს“ ორმა კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის თანახმად, მან აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა, მაგრამ კანდიდატებზე ზეწოლის არც ერთი ფაქტის დამადასტურებელი გარემოებები არ გამოკვეთილა. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციით, „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატებმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი პარტიის შიგნით წარმოშობილი კონფლიქტის გამო თქვეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციები წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებზე ზეწოლის არაერთ ფაქტს აფიქსირებდნენ. რამდენიმე გამონაკლისის (მათ შორის, მესტიაში პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ წევრებზე და ლანჩხუთში პოლიტიკური გაერთიანების „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრზე ზეწოლის) გარდა, ასეთი შემთხვევების დადასტურება რთულდებოდა, რადგან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მათზე ღიად საუბარს ერიდებოდნენ ისევ და ისევ შიშის ფაქტორის გამო. თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წინასაარჩევნო პერიოდში რეგისტრაციის შემდეგ პროპორციული სიებიდან ოპოზიციური

პარტიების 112-მა წარმომადგენელმა (4 პარტიული სია საერთოდ გაუქმდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში) და 161-მა მაჟორიტარმა კანდიდატმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა[17].

შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში ამის მიზეზი მართლაც შიდაპარტიული დაპირისპირება იყო, თუმცა გამოდის, რომ დაპირისპირება, მმართველი პარტიის გარდა, თითქმის ყველა პარტიაში მოხდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში საუბარია აპრილში ოზურგეთში პატიმართა ოჯახების წევრების მიმართ წამოწყებულ კამპანიაზე. მათ ჰპირდებოდნენ, რომ თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ 100-დან 500-მდე მხარდამჭერის ხელმოწერებს, პირადობის დამადასტურებელ ნომრებს და სხვა პერსონალურ მონაცემებს შეაგროვებდნენ, პატიმრებს გაათავისუფლებდნენ. ოზურგეთში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების აქტივისტებმა და ჟურნალისტებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს რვა ასეთი ოჯახი დაასახელეს. ამასთან, გამოკითხულებმა ადგილობრივი ხელისუფლების ის თანამდებობის პირებიც დაასახელეს (გოჩა შილაყაძე და შუქრი გაბრიჩიძე), რომლებიც ამ დაპირებების ავტორები და ინიციატორები იყვნენ.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის თანახმად, მან ეს შემთხვევა გამოიკვლია, მაგრამ მოცემული ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტები ვერ აღმოაჩინა. ამის მიუხედავად, სამუშაო ჯგუფის სპიკერმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ეკა ზღულაძემ, 12 მაისს სპეციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც აღნიშნა, რომ ამგვარი პრაქტიკა რეალურად წარმოუდგენელი იყო, თან პატიმართა ოჯახის წევრები გააფრთხილა: ნუ მოიტყუებთ თავს მცდარი დაპირებებით; რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერის სანაცვლოდ არანაირი ამნისტია არ იქნება.

ჯგუფის განმარტებით, ასეთივე განცხადებები ადგილობრივ მასმედიაში გააკეთეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გოჩა შილაყაძემ და შუქრი გაბრიჩიძემ.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

პატიმრებსა და მათი ოჯახების წევრებზე ზეწოლის ფაქტები არაერთ რეგიონსა და სოფელში დაფიქსირდა. ზოგ შემთხვევაში, მათ შორის, ოზურგეთში, მოქალაქეებმა პირად საუბრებში

[17] ცესკო-ს მიერ მოწოდებული სტატისტიკა.

პატიმართა ოჯახების წევრების თხოვნით მმართველი პარტიის მხარდამჭერი სიის ხელმოწერაც დაადასტურეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ასეთი დაპირების მიცემა ერთ-ერთი პატიმრის ოჯახის წევრმაც აღიარა.

სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებზე ღიად არავინ საუბრობს, რაც მათ გამოძიებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს. შესაბამისად, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სპიკერის სპეციალური განცხადება მისასალმებელია, თუმცა სიმართლეს არ შეეფერება ჯგუფის კომენტარი, რომ მსგავსი სატელევიზიო განცხადებები შილაყაძემ და გაბრიჩიძემაც (ამგვარ ქმედებაში დადანაშაულებულმა პირებმა) გააკეთეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ იმ პრესკონფერენციის ჩანაწერი მოიპოვა, რომელიც უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ანგარიშში იყო ნახსენები. შილაყაძემ და გაბრიჩიძემ მხოლოდ ის თქვეს, რომ მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები „აბსურდული, ჭორი და სისულელე“ იყო, იმის შესახებ კი არაფერი უთქვამთ, რომ პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ არავითარი ამნისტია არ იქნებოდა. ამდენად, მათი განცხადებები უფრო თავის მართლებას ჰგავდა, ვიდრე მოსახლეობის იმაში დარწმუნების მცდელობას, რომ მსგავსი დაპირებები არ დაეჯერებინა.

კერძო კომპანიებზე ზეწოლა ოპოზიციური პარტიებისთვის მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მიზნით

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში მიმოხილულია მარტში თბილისში არსებული სტამბების გეგმური შემოწმებების საკითხი, რომლებსაც ოთხი სტამბის სხვადასხვა ვადით დახურვა და მათთვის ყადაღის დადება მოჰყვა. ყველა ეს სტამბა „ეროვნული საბჭოს“ შეკვეთებზე მუშაობდა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა და იმ პირთა განცხადებების თანახმად, რომლებსაც სამსახურებრივი კავშირები აქვთ სტამბებთან, სტამბების უმრავლესობა ოპოზიციური პარტიების შეკვეთების მიღებაზე უარს აცხადებდა. ისინი სხვა დამკვეთებსაც კი ეკითხებოდნენ, თუ რა შინაარსის მასალების დაბეჭდვა სურდათ. არადა ასეთ ინტერესს სტამბები არჩევნებამდე არ იჩენდნენ.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა პოლიტიკურ პარტიებს (როგორც საპარლამენტოს, ისე არასაპარლამენტოს) და გამომცემლობებს მიმართა, რათა გაერკვია, შეექმნათ თუ არა მათ საარჩევნო მასალის დაბეჭდვისას რაიმე პრობლემები. სამუშაო ჯგუფის განცხადებით, ამგვარი პრობლემების არსებობა არც ერთმა მათგანმა არ დაადასტურა.

ჯგუფმა ასევე განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახური შემოწმებებს „რისკის შეფასების პროგრამის“ საფუძველზე აწარმოებს. 2010 წელს ამ პროგრამის საფუძველზე დადგენილი შესამოწმებელი ბიზნესების სია რამდენიმე გამომცემლობას შეიცავდა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 110-ე და 113-ე მუხლების თანახმად კი, ინვენტარიზაციის, აუდიტის და რევიზიის განხორციელება წინასწარი შეტყობინებების გაგზავნას არ საჭიროებდა.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

ანგარიშში მიმოხილული სტამბების პრობლემა მარტის ბოლოს და აპრილის შუა რიცხვების მოვლენებს უკავშირდება. ანგარიში აპრილში ორგანიზაციამ დეტალურად შეისწავლა აღნიშნული საკითხი: გაესაუბრა რამდენიმე სტამბის ხელმძღვანელს (მათ შორის, იმ სტამბებისა, რომელთაც საგადასახადო შემოწმება არ შეხებიათ) და პოლიგრაფიის დიზაინერს. აღნიშნული ოთხი სტამბიდან ორმა კომენტარზე საერთოდ უარი თქვა. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ სტამბების დახურვის ასეთი მასობრივი შემთხვევები არასდროს ყოფილა, და ისიც აღნიშნა, რომ, ახალი რეალობიდან გამომდინარე, შეკვეთის შინაარსითაც ინტერესდებოდა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი 25 მაისს გამოქვეყნდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ანონიმურად დაუკავშირდა გამომცემლობებს და მათ პოლიტიკური ხასიათის მასალის დაბეჭდვის შეკვეთაზე ესაუბრა. გამომცემლობები დამატებითი კითხვების დასმის გარეშე დათანხმდნენ შეკვეთის მიღებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 25 მაისს არჩევნებამდე 5 დღე იყო დარჩენილი და საარჩევნო მასალის დაბეჭდვა პარტიებს გაცილებით ადრე ესაჭიროებოდათ.

რაც შეეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებს, ინვენტარიზაციას წინასწარი შეტყობინების გაგზავნა მართლაც არ სჭირდება, თუმცა გეგმური შემოწმების შესახებ შესაბამის კომპანიას ათი დღით ადრე უნდა ეცნობოს, გადაუდებელი შემოწმების დროს კი, გამონაკლისი შემთხვევების (საგადასახადო ვალდებულებათა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები; ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს გადასახადის გადამხდელის ფინანსური და მატერიალური საშუალებების წარმოშობას და სხვ.) გარდა, სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო.

ერთ-ერთ სტამბას (იდენტიფიცირებას მისი ხელმძღვანელის თხოვნით არ ვაკეთებთ) ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ გეგმიური შემოწმება ტარდებოდა. მეორე სტამბამ დალუქვის მიზეზად გეგმიური შემოწმება და ინვენტარიზაცია დაასახელა.

ინვენტარიზაციისას და საგადასახადო შემოწმებისას, როგორც წესი, მხოლოდ დოკუმენტაცია ილუქება. საწარმოს დასალუქად დამატებითი წინაპირობების არსებობაა საჭირო. ყველაფერ

ამას რომ თავი დავანებოთ, სასურველია, რომ, აუცილებელი გამონაკლისების გარდა, სახელმწიფომ ასეთი შემოწმებებისგან არჩევნებამდე მოკლე ხნით ადრე თავი შეიკავოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრებს პარტიული ღონისძიებისთვის სპორტის სასახლის გამოყენებაზე შენობის ადმინისტრაციამ ბოლო მომენტში უთხრა უარი. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის სიტყვიერი შეთანხმება არსებობდა, მას შემდეგ, რაც პარტიამ საჯაროდ განაცხადა, რომ 9 აპრილს სპორტის სასახლეში პრაიმერის შედეგების პრეზენტაციას გეგმავდა, სასახლის ადმინისტრაციამ, სარემონტო სამუშაოების ჩატარების მოტივით, დარბაზის დათმობაზე უარი თქვა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი განმარტავს, რომ სპორტის სასახლის მართვას კერძო კომპანია ახორციელებს, და იქვე აღნიშნავს, რომ პარტიას „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ უფლება მიეცა, შეხვედრა ჭადრაკის სასახლეში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკუთრებაში არსებულ შენობაში ჩაეტარებინა.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ბიზნესზე არაპირდაპირ განხორციელებულ ზეწოლაზე მიუთითებდა. ამ მოსაზრებას რამდენიმე ფაქტი ამყარებდა: ა) ამგვარი ღონისძიების ჩატარებით სპორტის სასახლე თავად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რადგან რამდენიმესაათიანი ღონისძიებიდან კომპანია პარტიისგან ქირის სახით დაახლოებით 22 ათას ლარს მიიღებდა; ბ) ერთი კვირით ადრე შეთანხმებული ღონისძიების გადადება სარემონტო სამუშაოების ჩატარების მოტივით, მით უფრო, კალათბურთის მატჩამდე ორი კვირით ადრე, ეჭვებს ბადებდა; გ) სპორტის სასახლე 2009 წლის ზაფხულში გარემონტდა და ამისთვის რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა.

პირადი მონაცემების შეგროვება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის თანახმად, მარტის დასაწყისში შსს-ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებამ სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაუგზავნა წერილობითი მოთხოვნა მათი თანამშრომლების

პირადი ნომრებისა და სხვა პერსონალური მონაცემების (მისამართების, ტელეფონის ნომრების, თანამდებობების) შეგროვების თაობაზე. მოთხოვნაში მიზეზი არ განუმარტავთ, მხოლოდ ის ეწერა, რომ ეს „შემხვედრი საჭიროებებისთვის“ იყო აუცილებელი.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა ეს ინფორმაცია შსს-ში გადაამოწმა. ჯგუფი დაეთანხმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, რომ წერილში გამოყენებული ტერმინი „განსაკუთრებული შემთხვევებისთვის“ („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშშიც და თავად შსს-ის წერილებშიც ტერმინი „შემხვედრი საჭიროებებისთვის“არის გამოყენებული და არა „განსაკუთრებული შემთხვევებისთვის“) გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა და რომ, ზოგადად, გაუგებარი იყო წერილის მიზანი.

შსს-მ სამუშაო ჯგუფს აცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების (უბნის ინსპექტორების) მიერ რაიონული/უბნის პასპორტის შესაქმნელად სჭირდებოდა. ჯგუფმა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების კანონიერება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით დაასაბუთა.

<u>„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი:</u>

შესაძლებელია შსს-ს ასეთი ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი მართლაც ჰქონდა, თუმცა სასურველი იქნებოდა, განსაკუთრებული აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში ასეთი ტიპის ღონისძიება წინასაარჩევნო პერიოდში არ განხორციელებულიყო. გარდა ამისა, როგორც ორგანიზაციის ანგარიშშიც არის აღნიშნული, შსს-ის წერილს არანაირი განმარტება არ ახლდა. ერთ-ერთმა გაზეთმა შსს-ის შესაბამის განყოფილებას სთხოვა განემარტა, რისთვის სჭირდებოდა ეს ინფორმაცია, თუმცა უარი მიიღო.

ინფორმაცია სკოლებში ინციდენტების თაობაზე

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადება:

პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ საგარეჯოს რაიონის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, იოსებ ოთიაშვილმა, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ აცნობა, რომ მათი წევრის, ნატო ქურდოვანიძის, მეუღლე ადგილობრივი სკოლის დირექტორმა თანამდებობიდან გაათავისუფლა. დირექტორმა ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ ნატო ქურდოვანიძე აღნიშნული პარტიის წევრი იყო.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხი:

უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა ეს საკითხი შეისწავლა და დაადგინა, რომ ნატო ქურდოვანიძის მეუღლე, ლევან კვეზერელი, სამსახურიდან ხელშეკრულების დარღვევის გამო გაათავისუფლეს. ის სკოლაში დარაჯად მუშაობდა და რამდენჯერმე სამუშაო საათების დროს სამსახურში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. გათავისუფლებამდე ლევან კვეზერელმა რამდენიმე ადმინისტრაციული გაფრთხილება მიიღო.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კომენტარი:

პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრის, ნატო ქურდოვანიძის, განცხადებით, მის მეუღლეს გათავისუფლებამდე ადმინისტრაციისგან არავითარი გაფრთხილება არ მიუღია. შესაბამისად, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ შრომითი ვალდებულებების სისტემატიური დარღვევის ფაქტს. ნატო ქურდოვანიძის განცხადებით, მისი მეუღლის გათავისუფლების ოფიციალური მიზეზი სამსახურში 20 წუთის დაგვიანებით გამოცხადება გახდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოვლენილი, რეაგირების გარეშე დარჩენილი დარღვევები

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის პასუხები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მეორე შუალედურ ანგარიშში მითითებული დარღვევების უმეტესობას შეეხებოდა, თუმცა ჯგუფმა უკომენტაროდ დატოვა ისეთი შემთხვევები, როგორიცაა წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეთა და ძალოვანთა უკანონო მონაწილეობა, მათ შორის:

- 4 მაისს გურჯაანში შვებულებაში მყოფი საჯარო მოხელეების მიერ სამსახურებრივი ფუნქციების მმართველი პარტიის ოფისიდან შესრულება;
- 27 აპრილს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- 24 აპრილს ოზურგეთში მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებაში ძალოვანთა მონაწილეობა და იმავე ღონისძიებისთვის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულების მმართველი პარტიის სასარგებლოდ უგულებელყოფა;
- 22 აპრილს მცხეთაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ღონისძიებაში საჯარო მოხელეთა და სასკოლო საათებში სკოლების მასწავლებელთა მონაწილეობა; საჯარო მოხელეთა ჩაბმა წინასაარჩევნო კამპანიაში;

- 24 მარტს ოზურგეთში „ეროვნული საბჭოს“ წინასაარჩევნო ღონისძიების ჩატარებისთვის ხელის შეშლა.

გარდა ამისა, 25 მაისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მესამე შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელსაც უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის რეაგირება ჯერ არ მოჰყოლია. ანგარიშში შემდეგი სახის წინასაარჩევნო დარღვევებია აღწერილი:

- ოპოზიციის წევრებსა და ამომრჩევლებზე ზეწოლა;
- წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეთა და ძალოვანთა მონაწილეობის შვიდი შემთხვევა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების (შემდგომ – საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული წევრების) მიერ კომისიის წევრის თანამდებობის დასაკავებლად განცხადებების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გორის ოფისში შევსება; მმართველი პარტიის მხარდამჭერ აგიტაციაში სოციალური აგენტების მონაწილეობა.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ გამოვლენილი, რეაგირების გარეშე დარჩენილი დარღვევები

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ყურადღების მიღმა დარჩა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის ამსახველ პირველ და მეორე შუალედურ ანგარიშებში აღნიშნული არაერთი მნიშვნელოვანი დარღვევა, მათ შორის:

- 29 აპრილს გურჯაანის კულტურის ცენტრში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიისა და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენაზე გურჯაანის რაიონული პროკურორის, გია ლაზაშვილის, დასწრება;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის, ვატო ნაცვლიშვილის, საარჩევნო შტაბის ბიბლიოთეკაში უკანონოდ განთავსება და სხვ.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის ფაქტი, რომ უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა რეაგირების გარეშე დატოვა დაშინებისა და ზეწოლის ისეთი შემთხვევებიც, რომლებზედაც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ანგარიშებში დეტალური ინფორმაცია იყო წარმოდგენილი, მაგალითად:

- ზემო მაღაროს საარჩევნო უბანში პოლიტიკური გაერთიანების „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელზე, ლალი ჯანიკაშვილზე, განხორციელებული ზეწოლა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მას პრობლემების შექმნით დაემუქრა;

- პოლიტიკური გაერთიანების „ალიანსი საქართველოსთვის“ გორის ოფისთან დაუდგენელი პირების (რომლებიც ისხდნენ ავტომობილში სახელმწიფო ნომრით TTI – 863) მიერ ოფისში შემსვლელი პირების ვიდეოკამერით გადაღება;

- ბოლნისში, ქვეშის ტერიტორიულ ორგანოში, პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ მაჟორიტარობის კანდიდატზე, ცეზარ მამულაშვილზე, განხორციელებული ზეწოლა. მას გამგეობასა და ბიზნესში პრობლემების შექმნით დაემუქრნენ;

- აბაშის მე-4 საარჩევნო უბანზე „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენელზე, ელგუჯა გაბისკირიაზე, განხორციელებული ზეწოლა. ის 2 მაისს, 12 საათზე, პოლიციის თანამშრომელმა, ოტია გაბელაიამ, დააკავა და კანდიდატურის მოხსნა მოსთხოვა;

- კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტზე, თამარ კვირიაშვილზე, განხორციელებული ზეწოლა. მას გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელმა, თამაზ აბრამიშვილმა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ფიზიკური ძალის გამოყენებაც სცადა, როცა ჟურნალისტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბიდან გამოსულ იმ საჯარო მოხელეებს იღებდა, რომლებიც შვებულებაში არ იყვნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციათა საარჩევნო მედიაცენტრს აფინანსებს ფონდი „ღია საზოგაოდება – საქართველო“

თბილისი 0108, ბროსეს №6 • 6 Brosse St., Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 48 96
ელ-ფოსტა/E-mail: ngomediacentre@gmail.com